№ 168 მარიამობისთვე 9, ოთხშაბათი 1889 მარიამობისთვე 9, ოთხშაბათი № 168


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში ს. სახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

## ახალი ამბავი

* * იმ კრებულის გამომცემელი, რომელიც ქუთაისში იბეჭდება და ამ დღეებში უნდა გამოვიდეს, გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზ. „მწყემსში“ შეცდომით იყო მოხსენებული, ვითომ წიგნი უკვე დაიბეჭდა და ისყიდებაო. წიგნი ჯერ ისევ სტამბაშია და საცენზურო კომიტეტისაგანაც ნება-რთვა არ მოგვსვლია იმის გასყიდვისათვისაო.

* * კუკიაში ამ ბოლოს დროს ყოველ წელს მრავალი ახალი სახლი შენდება და ეს ნაწილი ქალაქისა საგრძნობელის სისწრაფით იზრდება. ხოლო ამ ზაფხულმა-კი გაცილებით აჯობა წარსულ წლებს. მიხეილის ქუჩა ხომ თვით მუშტაიდამდე აივსო ახალის შენობებით. აქა-იქ თუ შევხვდებათ-ღა მცირეოდენი ცარიელი ნაჭერი მიწისა ქუჩის პირას, თორემ ერთობ გაბმული შენობებია. სიკეკლუციითა და სიმარაქით ეს ახალი შენობები არ ჩამოუვარდება საუკეთესო სახლებს ტფილისისას. აგრეთვე სხვა ქუჩები კუკიისა შესამჩნევად იზრდება და ლამაზდება. მეტადრე გამოფენის სიახლოვეს სწრაფად აკეთებენ ხისა, თუ ქვითკირის შენობებს.

* * გორში არსენ კალანდაძის სტამბაში დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა თომა კემპელის წიგნი: „მიბაძვა ქრისტესი“, ნათარგმნი ლათინ-ურიდამ ფრანგულთან და რუსულთან შეთანასწორებით მ. მღებრიშვილისაგან, რომელიც არის კათოლიკეთა მღვდელი და მოძღვარი ქ. გორში. წიგნის ფორმატი არის პატარა, ამიტომ წიგნი ძალიან კოხტა და შნოიანი გამოსულა. გარეგნობით წიგნი ძალიან ლამაზია, ზოგი ყდაშია და ზოგი უყდოდ. ყდა ვარაყიანია. ყდითა და ორის ხატით წიგნი, რომელიც შეიცავს წინასიტყვაობის გარდა 184 გვერდს, ღირს 70 კ., უყდოდ და უსურათოდ — 40 კ. ხატები დააკლდა, რადგან დროზედ ვერ მიიღო, თუმცა დიდის ხნის გამოწერილი-კი აქვს საზღვარ-გარეთიდამ. ამიტომ როდესაც მიიღებს, მაშინ ისინი, ვისაც უყდოდ და უხატოდ ექმნებათ ნაყიდი წიგნი, შემდეგ მიიღებენ, თუ წარმოადგენენ ხატებისათვის ორ შაურს. წიგნები გაიგზავნა თითქმის საქართველოს ყველა ქალაქებში. სურათები წიგნისა მშვენიერებია. საზოგადოდ წიგნი უყდოც ლამაზად და სუფთად არის გამოცემული და კორრექტურული შეცდომანიც ძალიან ნაკლებად არის.

* * **გორი:** გორის მაზრის ერთს მოხუცებულს მღვდელთაგანს ლექსად გადუღია თითქმის მთელი დაბადება და როგორც ძველის, ისე ახალის აღთქმიდამ ამოუღია შესანიშნავი ამბები, შესანიშნავი ისტორიები და ისინი გადუღია ლექსად. ლექსი სრულია დაც არ არის დაშორებული დედანზედ და ნამდვილად აშენებულია სამღვთო წერილის სიტყვებზედ, მხოლოდ გარჩევა იმაშია, რომ ლექსად ადვილად გასაგების ენით არის დაბადება გადმოღებული და სასიამოვნოდაც არის საკითხავად, მოხუცებულს მღვდელს მოუნდომებია ამ შრომისთვის ოთხი წელიწადი. ლამაზად და სუფთად გადუწერია და სურს სასულიერო ცენზურას წარუდგინოს. თუ ცენზურამ მოიწონა, განზრახვა აქვს პატარ-პატარა წიგნაკებად დაბეჭდოს და იაფ ფასად გაავრცელოს ხალხში.

* * **იქიდამვე:** გორის სასულიერო სასწავლებელში ამ თვეის 25 და 26 ექნებათ ეგზამენები მეორედ იმათ, ვინც ცუდი ნიშნები მიიღო ერთსა და ან ორს საგანში. მისაღები ეგზამენები იქნება 28 და 31 მარიამობისთვისას.

* * **ხაშური:** ისე დღე არ გაივლის, რომ ჩვენში ქურდობა არ მოხდეს: ზოგს სახლს უტეხავენ, ზოგს სამზარეულოს, ზოგს რასა და ზოგს რას. ეს ღამის რაინდები ისე გათამამებულნი არიან ამ ხელობაში, რომ აღარავისი ეშინიანთ და აღარავის ერიდებიან. 6 ამ თთვისას, მაგალითებრ, ღამით გაუტეხეს ყარამან ძნელაძეს ერთი ოთახი და, რაც-კი რამ მოეძევებოდა, სულ ერთიანად გაზიდეს; ტანისამოსი, ღამის საცვლები, ქვაბები, პალტოები და სხვანი. ეჭვი არ არის, რომ ეს დანაშაულობაც ისე ჩაივლის, როგორც სხვა ბევრმა დანაშაულობამ ჩაიარა.

* * **გურია:** წრევანდელისთანა ცუდს ტაროსებს, ეს თხუთმეტი წელიწადი იქნება, რაც არ მოვსწრებივართ. ეს ხუთიოდე დღე-კია, რომ კარგი დარები ენახეთ. ამ ავდრების მიზეზით ყანები გაუმარგვლელი დაგვრჩა. ვინც გამარგლა, იმისიც დაჩაგრულია და დიდს მოსავალს არას მისცემს. მაინც წელს სიმინდები ნაკლებად დაითესა, რადგან შარშან და შარშანწინ ძალიან მცირე ფასად იყიდებოდა. სიმინდსაც ჩვენში ისე მოუვიდა, როგორც თუთუნს. პირველში კარგი ფასი ჰქონდა, ჩვენც ბევრი მოგვყავდა, მაგრამ მერე თანდათან დაეცა და ეხლა ისეთს ყოფაშია, რომ ნურც-კი იკითხავთ: ტყუილად უყრიათ ყველას, მუშტარი არ არის, და თუ არის, არას იძლევიან. თუ წინად ფუთს ათ და თორმეტ მანათად ვყიდდით, ახლა ხუთს მანათსაც არავინ იძლევა. დავაკეთეთ სახლები და შიგა გვაქვს შენახული, მაგრამ ამ შენახვის ფასი და მუშის ქირაც ვერ ავვიღია. სიმინდის საქმეც ასე იყო. ვსთქვით, კარგი ფასი აქვს, ბლომად ვთესოთო, და როცა ბლომად დავთესეთ, მაშინ დაეცა ფასი. ახლა ცოტა გვაქვს და ისიც მოგვიცდა უამინდობის გამო. აქამდე-კი გლეხი არ იყო, რომ სამის თუმნის სიმინდი არ გაეყიდნა წელიწადში. ბევრი გლეხ-

## ფელეტონი

### გაზაფხული

მიდის ზამთარი, მიიპარება,
თან მისდევს თოვლი, მიჰყვება ქარი,
და საქორწილოდ მომზადებულსა
გაზაფხულს ხელში უპყრია ქნარი,

—

რომ ტკბილის ჰანგით გამოაფხიზლოს
ბუნება ზამთრით მიძინებული
და უცნაურის, მხიბლავის ძალით
აუთამაშოს სული და გული.

—

აჰა, მერცხალი ტკბილად ჰიკჰიკებს,
ეს გაზაფხულის წინა-მორბედი,
და ნაზი იაც მორცხვად თავს იხრის,
რომ დედამიწას უქადოს ბედი!

—

დღემდის მიწასთან გასწორებული
ვაზი ამდგარა ლხენით მტირალი...
და მათის ჭვრეტით გატაცებული
სახნისს იფერავს მუშა საწყალი.

—

თანაც იმღერის: „დრომ მოიტანა,
აწ შრომის ოფლი უნდა დავღვარო“.
ღმერთო, აკურთხე მისი მარჯვენა,
და უწინამძღვრე მას, მაცხოვარო.

ანეტა დადეშქელიანისა

◆◆

### სოფლის კუნწულა

(ვუძღვნი თ. ა. ი. სუმბათაშვილს-იუჟინს)

I

სურათი ქიზიყის ცხოვრებიდამ

ნაბდებით მოფენილს ფართო ტახტზედ კედლის-ძირას ჩამწკრივებულან მოქეიფენი: თავში წამომჯდარა მსხვილ მხარ-ბეჭიანი, ლაბაბ-დაშვებული და ჭაღარა-შერეული მამასახლისა, იმას გვერდით მოსჯდომია ჯვარ-მენდლებიანი, ბატივით გათეთრებული და დიდ-თვალება-ულვაშებიანი ზორბა მჭადაზნაურა, რომლისათვისაც ხალხს ვირ-აქლემა დაურქმევია მეტ-სახელად, აზნაურასთანა ზის პირ-ხმელი, ჭაღარა და პატარა ტანის სოფლის დალაქი-ჩხუბა, დალაქთან—ახლად წვერ-ულვაშ-აშლილი და ბურთივით დამრგვალებული სოფლის მწერალი, მწერალთან — ხანში შესული, დაჭარხლებული და კისერ-გასქელებული მომღერალი სომეხი გიქო და გიქოს ბოლოს—ახალგაზდა გზირი-ციბრუტა. ყველანი მუთაქა-ბალიშებზედ სხედან, გარდა ციბრუტასი. წინ გაშლილი აქვთ სხვა-და-სხვა ხორაგეულობით აჭრელებული სუფრა. ჭამა-სმა გაუთავებიათ, ჯერ ღვინო არ მოჰრევიათ და შეექცევიან ხან გიქოს სიმღერით, ხან მასლაათით, ხან წითელის ლალის ნუნუათი პირის ჩაკოკლოზინებით, ხან ყალიონ-კრიალოსანით და ხან ძვლების წიწკნით და მთქნარებით. სიჩუმეა. მამასახლისა და ჩხუბა ყალიონს აბოლებენ. ვირ-აქლემა კრიალოსანს ათამაშებს. მწერალი პაპიროსს ეწევა. გიქო დაირას იღებს ხელში, სამღერლად ემზადება და მამლაყინწასავით ყელ-ყელაობს. ციბრუტა უგულოდ და ზლაზვნით ასხამს ღვინოს თეფშზე დადგმულ სტაქნებზედ. ციბრუტას მხრივ, ტახტის ბოლოს, სამიკიტნოდამ კარები შემოდის ოთახში. კარები მიხურულია. ოთახს ორი უკანა ფანჯარა აქვს.

გიქო (მღერის). მე მონა გამხდარვარ ერთისა მზისა...

მამასახლისა. ჰაბალააააამ! . შენი კუჰისა, შენი, გიქო! შენ გენაცვალოს ზაქარო, ჩვენო თაფლო და შაქარო.

გიქო (იმეორებს). მე მონად შავქნილვარ ერთისა მზისა ..

მწერალი. შენი! შენი!! შენიიი!!!

გიქო (მღერის) ის ჩემთვის ღნება და მე მისთვინა. (აზრასხუნებს დაირას)

მწერალი (ტაშის ცემით) ბრავა! ბრავა!! ბრავაააა!!!

გიქო (იმეორებს) იგი ჩემთვის კვდება და მე მისთვინა...

ჩხუბა. დაგა! დაგა!! დაგა!!! დაგა მა ლოროტოტოს, მაგი რჯული-კი დაიქცეს, მაგისი!

გიქო (მღერის) არ იქნა არ შამხვდა ქამი შაყრისა. (აზრასხუნებს დაირას)

ჩხუბა. ჰაი! ჰაიიი!! აფერუმ, გიქოჯან, აააფერუუუმ!

მიკიტანი (შემოდის და მწვადი შემოაქვს თეფშით) კამპანიას გაუმარჯოოოს!..

ყველანი (ერთ-ხმად) გაუმარჯოოს!.. გაუმარჯოს ჩვენს მიკიტანს! (გიქო ჩუმდება და გვერდით იდებს დაირას. ციბრუტა მწერალს თეფშით ღვინოს აწვდის, მწერალი ჩხუბას წინ უდგამს).

მიკიტანი. იჲი-ჲი-ჲი, რა მწვადია და! აბა, თქვენი ჭირიმე, აბა შეექეცით, აბა ნუ გააცივებთ, აბა დრო გაატარეთ, აბა მიირთვით, აბა ახალი ლუკმა გაჰტეხეთ.

ჩხუბა (გამოჯავრებით) აბა მიირთვით! აბა ახალი ლუკმა გაჰტეხეთ! რა შვილი ხარ-და! სწორედ სახლშიაც ეგეთი გულ-ხელ გაშლილი ხარ აი, შენ არ მომიკვდე! . შენც-კი გინდა, რო მივირთვი და მივირთვათ ახალ-ახალი ლუკმები და გაგვიგდო და გამოგვიგდო ახალ-ახალი ჩოტკები! ძაღლია, ძაღლია, მურია!

მიკიტანი. რათა, შვილოსა, ღმერთს სისწორე უყვარს: ნურც მგელი მშიერი, ნურც ცხვრიჰ პატრონს ზიანიო. ზღვა კოვზით დაილევაო და წვეთით ზღვა შესდგებაო. ნუ ხარ ე თავ-ქარიანი ყბედი. (მიდის კარებისკენ)

ჩხუბა (მიმავალს მიკიტანს) ღმერთი ვერა ნახეს, ჰკვით იცნესო და შენც გიცნობთ რაც კოჭი ხარ: მსუბუქი ხარ, ბზის ბუქი ხარ. (მიკიტანი გადის) გზირო! გზირო!! დედას გიტირებ, მა კბილებ სუ ზედ შამოგალეწავ! შე რატო მაგრე არაფრად მაგდებ! ღვდელი და დალაქი—ორივ ერთიაო, ეს მაინც არ გაგიგონია, შე დათუნავ, შენა?! გზირო! გზირო, შე ვირის კართოფილო, გზირო!

ციბრუტა. რა იყო, ე!?იიიმოს!.. რას იგინები, რა გაგიგია, რა მოგელანდა, კაცო, რა! რა?!

ჩხუბა. ღმერთმა ნუ იცის შენი თავი! მე რომ ეგრე მიმარჯვებ და მაყრი ე ჯორი-წიხლებიეით ა სავსე-სავსე ტაქნებს, რატო სხვებს-კი არ უვსებ ეგრე პირამდინ, ჰა? შე მცბიერო ძაღლო, შენა! არა, მასხარად მიგდებ, თუ როგორა შენი საქმე? იმთენს მოგარტყამ, რო ნახევარიც ვერ დაჰთვალო. მე ფეხებზე მკიდია ყველანი!.. ნაჩაფრალ ჩხუბაჰ მეძახიან მე, ჩხუბაჰ, ჩხუბაჰ! გაიგე და შაიტყე!

ვირ-აქლემა. შეექეცით, შეექეცით! ჩხუბის დრო არალი, მწვადი ცივდება, ქონი ყინდება. (სჭამენ)

ჩხუბა. ეს ვისი სადღეგძელო იყო? ჰო, ღმერთმა განუსვენოთ ცეცხლში დამწვრებს და წყალში დამხრჩვლებს. (თანა სვამს ღვინოს და თან ვირ-აქლემას გამოჯავრებით) „შეექეცით! შეექეცით! მწვადი ცივდება, ქონი ყინდება!“ აი თავის მეტი ნურა მოგიკვდეს-რა შენ! საქმე ის არი, შინაც გიცივდებოდეს მწვადი, თორე აქ რო სამგლე გოჭიეით გაჩირაღულმა ყელში ამოიდინო მუქთა-ხორა, ეგ რა კაცობა და ვაჟკაცობაა?! შე ოხერო, თქვენ კატას იგრე გამოჰლევია ი მეტი-მეტი შიმშილით არაქათი, რო თაგვები ზედ ცხვირზე დაჰბუქნაობენ. მეძრე-კი უნდა დადგეს ძროხი ტყავით გამოჰიფხული ჩვენი კუდა მჭადაზნაურა ვირ-აქლემა, და ვინც-კი ჰკითხავს: სად გიშოვნია, დიმიტრი, ე მაგთენი ჯვარ-მენდლებიო,—ვაჟკაცობაა, შვილო, ვაჟკაცობაო! ბიჭი ვარ სახელოვანი, ლომ-გმირი ძალგულოვანიო! ყელში ყიყინით და ჯვარ-მენდლებზე ხელის ტყაპუნით უნდა უპასუხოს ყველას. აი თავის მეტი ნურა მოგიკვდეს-რა შენ, თავის მეტი, რო იქ მკვდრებს აკლიხარ და აქ ცოცხლებს აწუხებ. ბოდბელს უთქვამ: ერთი ვერ მოვიცალე, რო მომკვდარიყავო, და რაღას უყურებს ი ღმერთ-გამწყრალი სიკვდილი და არ წაგათრევს ა წლის-წლობამდინ მოცლილს ცოდვი-ჭამია ქედ-ძაღლს.

ვირ-აქლემა. (წყენის ღიმილით) მამასახლისო, ერთი შენ მაინც უთხარ რამე, კაცო, ა კაცს: რაჰ გადამეკიდა, რა უნდა ჩემგან.

ჩხუბა (გამოჯავრებით). მამაცაქლიცო, ელთი ცენ მაიც უთქალ ლამე ა კაც! აი თავი მოგიკვდეს შენ, თავი, დიმიტრი! კაი ცუდა-მჭამელი ქედ-ძაღლი შენა ხარ.

მამასახლისა (ამობოყინებით) რა ვქნა, დიმიტრი, ე კაცი ეგეთი ჩხუბა და ყბედია, შენი ჭიიმე, და ეხლა მე და შენ ხო ვერ მოვარჯულებთ: მოჰწყინდება და თითონვე გაჩუმდება თავი თავად. რით ვერ გაიგე მაგი ხასიათი: გაჩუმდი, ყბედი ვინ მოლალა-და, მუნჯმაო. (მწერალი იღებს ჩხუბას გამოცლილ სტაქნებს და აწვდის ციბრუტას. მწერალი, გიქო და ციბრუტა ჩხუბასავე ნათქვამს იმეორებენ ჯერით და სვამენ ღვინოს იმავე სტაქნებით).

მიკიტნის ბიჭი. (შემოდის და მა-

კაცი ჰყიდდა ოცისა და ოც-და-ათ თუმნისას. დიდს ოჯახს სამოცის თუმნის სიმინდის გაყიდვაც ეხერხებოდა. ახლა-კი წავიდა ეს დრო. აბრეშუმმაც წელს გვიღალატა. გამოცდილმა დედაკაცებმა თუ მოაგროვეს აბრეშუმი, თორემ სხვებს ბევრს გაუფუჭდა. ვენახებს-კი, ღვთის მადლით, კარგად ასხია, ადგილობრივს ვაზსაცა და იზაბელასაც, თუმცა ნაცარი ჩვენებურს ვაზს მაინც შეაყარა...

*** 6-ს ამ თვისას, ნაშუადღევის მესამე საათზე, თავად აფაქიძის სადგომიდგან, ზუბალოვის სახლში, კათოლიკეთა ქუჩაზე, მოუპარავთ ოქროს საათი და გულის ქინძისთავი, სულ 110 მანეთისა. ეჭვი აულიათ მოსამსახურე ბიჭს დათიკო ჭილაძეზე. ნივთები ვერ უპოვნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, საღამოს, თავ. თუმანოვის სახლში, მენახშირეთა ქუჩაზე, მენახშირე გერასიმე ავაქოვს იმისმა მუშამ, მარტყოფის მცხოვრებმა ლევან რამაზაშვილმა, მოჰპარა 50 მანეთი. დამნაშავე შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, მესამე განყოფილებაში, სამსახურიდგან გამდგარი ჯარის-კაცი ანდრია ნაუმენკო, 70-ს წლისა, გაუფრთხილებლობით ჩავარდა ტფილისის მოქალაქის გლდანელის სარდაფში და მარჯვენა ხელი მოიტეხა. ნაუმენკო მთვრალი ყოფილა. დაშავებული საავადმყოფოში(?) გაგზავნეს.

*** იმავე დღეს, ცხრა საათზე, პირველს განყოფილებაში, ავჭალის ქუჩაზე, კოლეჟსკი სოვეტნიკის სადგომიდგან (სახლი № 29) მოუპარავთ ოქროს საათი და ძეწკვი, სულ 120 მანეთისა. ეჭვი აილეს ქუთაისის მცხოვრებ ვარდენ მერკვილაძეზე. გამოძიება სწარმოებს.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩვენი უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ იმათ, ვინც ფული, თუ რაიმე ნივთი შემოსწირა სოფ. რუისის სკოლის სასარგებლოდ გამართულ ლატარიისათვის ფერისცვალობა დღეს: ნატ. დავ. მამაცაშვილისას, კნეინა ელენე ფალიშვილისას, ნად. გაბრ. ვანზიელისას, კნ. ქეთევან ციციშვილისას, კნ. მაკრინე ამირეჯიბისას, ქეთევან ქურულისას, ბარბარე ნიკ. მამაცაშვილისას, თამარ ი. მამაცაშვილისას.

აგრეთვე არ შეგვიძლიან განსაკუთრებული მადლობა არ მოვახსენოთ კნ. ანასტასია მიხეილის ასულს თუმანიშვილისას და თამარ ილიას ასულს მამაცაშვილისას, რომელთაც დიდი შრომა და მონაწილეობა მიიღეს ხსენებულ ლატარიის გამართვაში.

ლატარიის გამგებელნი:
მასწავლებელი ივანე ავალიშვილი
და გრიგოლ დიასამიძე.

7 მარიამობისთვე
სოფ. რუისი.

◆◆

## საისტორიო და საარხეოლოგიო აღწერა

### ყვირილის ხეობისა.

სწორედ დიდი ხანია სურვილი მქონდა დამეთვალიერებინა ჩვენი ძველი მონასტრები, ციხეები, რითაც ასე მდიდარია ჩვენის ქვეყნის თითქმის ყოველი კუთხე და სადაც იპოვება მრავალ გვარი ძვირფასი ნივთი, სხვადა-სხვა ზედ-წარწერით, რომლებიც ცოცხლად მოწმობენ ჩვენის წარსულის ცხოვრების ფერს, მსვლელობას და წარმატებას.

მთელი მხარე მოფენილია წარსულ საუკუნოებში აგებულ(?) მონასტრებით, ციხეებით, გამოქვაბულ კლდეებითა და შენობებით. თითოეულის მონასტრის სალარო სავსეა ძველის ხელთნაწერ წიგნებითა და მხატვრობით. ყველა ამ ძველ ნივთებს, წიგნებს, ნანგრევებს, რაღა თქმა უნდა, დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არა თუ ჩვენთვის, რომელთაც ასე ნაკლებად გვაქვს შეგროვილი და შესწავლილი საქართველოს ძველის ისტორიის მასალები, არამედ თვით სხვა ხალხების ისტორიისთვისაც.

დღემდე მე, გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, არც-კი მენახა ამ გვარი ადგილები ზემო იმერეთში. არ მენახა იმიტომ-კი არა, რომ არ მეხალისებოდა მათი ნახვა და დათვალიერება, არამედ სულ სხვა მიზეზით.

დღეს-კი ჩემს სურვილს მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოების მინდობილებაც დაერთო და მეც შევუდექი მგზავრობას ყვირილის ხეობაში, სადაც დღესაც დიდი ისტორიული განძი იპოვება ძველს მონასტრებში.

ყვირილის მარჯვენა მხრით მიიკლაკნება, თეთრის ლენტის მსგავსად, ორი გზა: ერთი გადიარს რამდენ სამე სოფელს და იკარგება მიუწვდენელ მთებსა და გორებში და მეორეც მიჰყვება ყვირილის პირს და გადივლის ჭიათურას, საჩხერეს და უერთდება ტფილისში მიმავალ ძველ საფოსტო გზას. ეს ორი გზა საჩხერეში მიდის. ზაფხულობით ყოველთვის ზედა გზით დადიან მგზავრები, რომელიც უფრო მოკლეც არის და თავის სიმაღლით უფრო გრილი სასიარულოა. ამ გზას უწოდებენ „დიდ-წიფელას“ გზას. მეორე გზას ჰქვიან „ულევის“ გზა, რომელიც მიჰყვება გვერდით მდ. ყვირილას. ამ გზაზედ დადიან მხოლოდ ცუდ ამინდებში, რადგან დატვირთულ ურმებს ამ დროს ზედა გზით არ შეუძლიანთ სიარული. ქვედა გზა ორჯელ უფრო გრძელია ზედა გზაზედ.

სწორედ ამ ზედა გზას ვუდექით 10 მკათათვეს მე და ჩემი მეგობარი.

ჩემი ყურადღება პირველად გზების პირზედ მდებარე ყანებმა მიიპყრო. სწორედ რომ სასიამოვნო სანახავი იყო ყანები. ჰხედავ ამ «მაყვალსავით», ანუ, როგორც ჩვენი გლეხები იტყვიან, „ღურბელივით“ შავს ყანას და რწმუნდები, რომ წელს მაინც გამოიძღებს კუჭს ჩვენი გლეხობა. თითქმის ყველგან ჰხედავ ყანებში წითელპერანგა გლეხებს, რომლებიც დიდის სიამოვნებით შეჰყურებენ მომავალს იმედს.

ამ მაღალს შავს სიმინდში გამოიჭყიტება აგერ-ეგერ გლეხი და ჰხედავ, რომ მომავალ მოსავლის იმედს იმის სახეზე სიამოვნების ბეჭედი დაუსვამს, ზედ ნათლად წაიკითხავთ პოეტის სიტყვებს:

ბიჭო, ბერი შემოსულა,
ღელავს, ბზინავს ოქროს ფერად;
უფლის თვალი შიგ ტრიალებს,
მოდით ნახეთ, თუ არ გჯერათ!

სწორედ რომ «უფლის თვალი» ტრიალებს წელს აქაურს ყანებში და დიდს მოსავალსაც მოელიან.

რამდენადაც გულს გინათლებენ ყანები, იმდენად გული გიკვდება, როცა ჩვენის ცხოვრების დედა-ბოძს — ვენახებს გადაავლებთ თვალს.

მართლა რომ სატირალს მდგომარეობაშია წელს ჩვენი ვენახები. ყოველ გვარ ავადმყოფობას აქ მოუყრია თავი: ნაცარი, ჭრაქი ანუ მილდიუ, ფილოქსერა და სხვანი, თითქო მარტო ჩვენს ვენახებს შემოსევიან და ანადგურებენ. ჩვენი ვენახები ძირეულად ხმება, მტევნები ცვივდება ძირს დაუმწიფებელი. გლეხი და აზნაური თვალ-ცრემლიანი სდგას და გულხელ-დაკრეფილი შეჰყურებს ამ ამბავს.

ზემო-იმერელ გლეხს დიდს უბედურებას დაჰმართებს ვენახების განადგურება, დიდად დააკლებს იმისს ეკონომიურს მდგომარეობას. მოგეხსენებათ, ზემო-იმერეთი მდებარეობით მთა-გორებიანი ადგილია. ამ ადგილებში, სადაც-კი ადამიანს მისვლება, სულ ვენახებია გაშენებული საზნაურ-სათეს ადგილებით-კი ზემო-იმერეთი ცოტა უფრო ღარიბია და აქაური გლეხი, როდესაც ღვინოს ჰყიდის, იმის საფასურით უსათუოდ სიმინდი უნდა იყიდოს და გამოჰკვებოს თავისი ჯალაბი. ამას ანდომებს მთელს თავის ღვინის მოსავალს და თითონკი „ნაქაჩსა“ სვამს.

როცა ამის ფიქრში ვიყავი, ჩემი ცხენი უცებ ერთ პატარა მდინარეს მიადგა და დაეწაფა. აქ ჩემი თანამგზავრიც შეჩერდა და მითხრა:

— აი, გაიხედეთ ზევით! იქ რომ ძველი ეკკლესიაა, ის კაცხის მონასტერი გახლავთ. აი იმას იქით, გვერდით რომ სვეტივით აშენებული ეკლესია მოჩანს, ის გახლავთ სვეტის ეკკლესია, წმ. სიმეონ სვეტელის სახელზედ აგებული.

ამ პატარა მდინარეს კაცხურა ჰქვიან, რომლის ნაპირზედ აღიმართება პატარა გორაკი და ამ გორაკის თავზედ ერცელი მინდორია გადაშლილი. ამ გადაჭიმულ მწვანე მინ-

---

მასახლისს) გოგიტაან თავ-დიდა გიახლა.

მამასახლისა. აქ დამიძახე. (ბიჭი გადის)

თავ-დიდა. (შემოდის მწუხარე სახით, ქუდ-მოხდილი) მამასახლისა ადეძელა ღმერთმა.

მამასახლისა. აქეთ მოდი! (დგება და იხმობს ცალკე) აბა, რა ჰქენი, იშოვნე ფული?

თავ-დიდა. ვერა, შეი ჭიიმე, ვერსად გავხდი ილაჯს. ერთსა ჰქონდა და თითეში სამი აბაზი სარგებელი დამიწყო თხოვნა თუმანზე. ათი შაური ვაძლიევე, ვეხვეწე, ვემუდარე, ზედ შავაკვედი და არა ქნა, ი ულმერთომ. მეორედ მიველ-და, გაესესხებინა, ი ჩემი ცოდვით სავსეს. ხო იცი, შეი ჭიიმე, ეხლა იგეთი ვადაა, რო ყველას კრუხათ უზის თავის ორი გროში.

მამასახლისა. ვირები ხართ, ვირები, სამართლის გადაწევა და გამრუდება-კი გინდათ და არ-კი იცით, რო ამ საქმეს გასამრჯელო ფულიც უნდა, ფული, ფული! ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, გამოივხიტე ე ყურები! გაყიდე, შე ოხერო, ცხვარი მოგეპოება და ღორი. (ის ხლებს ყადიონს და ეწვა.)

თავ-დიდა. რის ცხვარი, რის ღორი, შეი ჭიიმე, იგრე გაწყალდეს შეი მტერი, მე გაწყალებული ვარ. ნუ დამღუპავ, შეი კვნესამე, ნუ!.. რა ვიცი, ე ოხერი, მეც კაცი ვარ, როგო ვერაში გამომიყენებ: ვენახში გიშველი, სამკალში გამოგადგები, სარ მოგიტან, აგე სახლებს აშენებ — იქ ხელს დაგეხმარებ, ჯანი მაქ და მარჯვენა. შენი ფეხთა მტვერი ყმა გავხდები, თავ შემოგევლები და სულში ჩავისვამ, თაქ ნუ დამღუპავ ალალმართალს და ნუ დამიწიოკებ ი საწყალ ცოლ-შვილს, ნუ, შეი კვნესამე!

მამასახლისა (მედიდურად). აქ ყბედობის დრო არაღი: კამპანია მელის. შველა ჩემთვინ საჭირო არაღი: სხვებიც ბევრი მყავ დავალებული. ფული, ფული!

თავ-დიდა. რა ვქნა, შეი ჭიიმე, აკი მოგახსენებ: ვერსად რას გავხდიმეთქი. ე სამი დღეა ჩემ პირში ნაწილი არ ჩასულა ბოროტისაგან. ბოლმამ მუხრუჭივით მომიჭირა გულზე და იგრე შამიხუთა ე ტიალი სული, რო აპალთია ყელი გამოვიჭრა: სახლში მუჭაზე დაყრა დაფქული არა მაქ, ცოლ-შვილი შიმშილით მიწყდება, ა კალოობამაც ეხლა მოატანა, ხუთიოდე დღის ქერი მქონდა, აპალთია ისიც შიგ ჩამეწვას უხელობით, და ე უსულ ღმერთო ნაცილიც ეხლა გამომივარდა! ნუ დამღუპავ უსამართლოდ ალალმართალს, შეი ჭიიმე, ნუ!.. აბა შენ რაღა გეჭწავლება, შეი კვნესამე, გლეხობაა, სისაწყლეა, გენაცვალე, ეგრე დანდობილა სად იშოვნის ჩვენი კაცი ფულს. ორი შაური რა არი, ი მაღალი უფლი მადლმა, ორი შაურიც არ მომეპოევება ამ ხელად სახლში, რო ცოლი მიკვდებოდეს და მთხოვდეს თვალ-ცრემლიანი: ორი შაურის წითელი ღვინო მიყიდე წამლათო. განა, შეი ჭიიმე, თქვენთვინ რო ღმერთს ყველა ეგრე უხვად მოუცია და ყველა თავ-პირზე საყრელი გაქვთ ა წუთი-სოფლის სამოთხეში, განა ჩვენც ეგრე ვართ-რა?! ჰეეე, დაილოცა ღვთი სამართალი, ერთი ჩემ შავი დღისაგან გატანჯულ გულში და გამოფხეკილ ქოხმახში უნდა შემოგახედა, როცა ი ჩემ ღიპლიკანა გოგობიჭებს მუჭტი ტოლ-ტოლა მარგალიტივით ცრემლები ჩამოჰდით ი ლოყებზე ღაპა-ღუპით და იძახიან: გვშიანო, რო მაშინ, რა ვიცი, ქვის გულიც რო გქონოდა, მოგილბებოდა და იტყოდი...

მამასახლისა. (გულ-მოსული) კარგი, მუდრეგო! კარგი! გეყოფა, გაჩუმდი, შაირცხვინე! მე აქ შენთან საყბედლად არა მცალიან: კამპანია მელის. ფული! ფული!! არა-და, ჯანი გაგვარდეს, გაგეყიდება ი ყვეარი ხარ-კამეჩი, ათასიც რო თავში ქვა იცე, იბღაველო და იძახო: უსამართლოდ მიყიდიანო.

თავ-დიდა (ვედრების კილოთი). ნუ, ნუ! შეი კვნესამე! ნუ მიზამ მაგას, ნუ გამომჭრი ცოცხალ კაც ყელს, ნუ დამიქცევ ოჯახს და ნუ დამიღუპავ ცოლ-შვილს! ი ყვეარ ხარ-კამეჩზე ჰკიდია ჩემი სახლიც, ჩემი კარიც, ჩემი ჭირიც და ჩემი ლხინიც განა, შენ გეთაყვანე, შენ-კი არ იცი, რო მე არავის ძველი მამეული ვალი არა მმართებს და ტყუილად შარ მიდებენ, გულზე ცეცხლს მიკიდებენ, უსამართლოდ მტანჯავენ და მაცდენენ-რა? შამიბრალე, შამიბრალე, შეი კვნესამე, გამიმთელე ე კარგ-უნახავი გულის იარა ულეთოდ ნაწამებს და დაავალე შენს გამჩენს! ჩემთვინ სიცოცხლე სიცოცხლე აღარ არი. მზის ნათელიც ჯოჯოხეთად გადამექცა. მოვკვდი, გავთავდი კაცი ბოლმისაგან: ხანჯალი რო დამცე, წვეთი სისხლი არ გამვარდება, და გულიჰ საყვარელი შვილი რო მომიკლა, თვალზე ცრემლი არ მომედინება — იგრე გამიქვავდა ე წყეული გული დარდისა და უსამართლობისაგან. ოხ, ღმერთო! რატო ერთი შენ მაინც...

მამასახლისა (ამაყად). გაჩუმდი, კარგი, ვირო! გაჩუმდი! აქ მეტი ყბედობა რა საჭიროა: არა გაქ ფულიდა, ჯანდაბამდინ გზა გქონდეს, გაგეყიდება-მეთქი ი ხარ-კამეჩი, ვთქვი, მოირჩი და გავათავე, რით ვერ გაიგე?!

თავ-დიდა. რა ვქნა, შეი კვნესამე, რა წყალსა და ღვარში ჩავარდე, სად ვიშოვნო ი ტიალი ფული? აგე ერთი ჯორი მიგდია და წამაიყვა, შეი ჭიიმე, შეი ჭირი სანაცვლო იყოს. ან არა და, ვექსილს დაგიწერ, და სხვა ამაზე მეტი რა გიყო, რა ვქნა, რა ღრესა და კლდეში ჩავარდე?

მამასახლისა. წადი, კარგი, მოშორდი. ხვალ მოდი ჩემთან სახლში და მოგიხერხებ როგორც არი.

თავ-დიდა. (თავის ქუდით) დაიცა, შეი ჭიიმე, და ახლა ი ულმერთო კაცმა რო კიდე ხელ-ახლად ამიშალოს დავიდარაბა ან სუდიებთან, ან ჩინოვნიკთან და იმათ კიდე ცალკე დამიწყონ თხოვნა: მაიტა ესა-და-ეს მოგვე, თუ არა და...

მამასახლისა. კარგი, ბრიყვო, ბრიყვო! ვინ იმ კაცმაო, ვინ სუდიებმა და ჩინოვნიკმაო, შენ რასაც გიბძანებენ: ხვალ მოდი ჩემთან, და ი კაცისაც მე ვიცი, სუდიებისაც და ჩინოვნიკისაც.

თავ-დიდა. ეგრე, შენ გეთაყვანოჰ ჩემი თავი, ეგრე! აი შენ ღმერთ-კი ვენაცვალე და შენ დიდ-კაცობას!

მამასახლისა. წადი, კარგი, მომშორდი (მიდის და ჯდება თავის ალაგზედ).

თავ-დიდა. წავალ, შეი კვნესამე, წავალ, აღარ შაგაწუხებ და დილაზე გიახლები სახლში. (იქით ბრაზ-მორეული და გულ-ანთებული, კბილების დრაჭუნით). ჰოი! ტა-ტა-ტა!.. აძაღლდეს, აძაღლდეს და აკატდეს შენი ბოროტი სული და ხორცი, შე კაცის ულმერთოდ მაწამებელო და დამღუპავო! გეკითხოს, გეკითხოს ჩემი დაღონებული და ვაი-ვაგლახისაგან გულ-დაწყვეტილი ცოლ-შვილის ცოდვა; იქცეს იმათი მდუღარე ცრემლი დიდი მთის აშფოთებულ ღვარ-თქაფად და წარშალოს შენი სახლ-კარი! როგორ დანდობილა მოულბა ი ძაღლის გული, სავლავ ძაღლს, ი ჯორი და ვექსილი რო დავუსახელე! ამოჰწყდეს, ამოჰწყდეს შენი ოჯახი და კომლობა, შე ალალ-მართლის უსამართლოდ ამომწყვეტელო, და დაიწვას, დაიბუგოს და დანაცრდეს ჩემის ცოდვით იმი სახლ-კარი და ცოლ-შვილი, ვინც ქრთამითა და არყით თვალებს იბრმავებს და შენითანა ულმერთო მექრთამეს ირჩევს მოსამართლედ. ააახ!.. ახ! შე დალოცვილო ღმერთო, რატო ერთი არ გადმოიხედავ, რამოდენა უსამართლობა ტრიალებს ა ცოდვილ ქვეყანაზე, და სუ მკალიასავით არ ამოჰკლეტავ ა ზღვისოდენა საწყლების სულთა-მხუთავებს მაგრამ, დაილოცა შენი სახელი და სამართალი, შენ სულ-გძელი ხარ და არა გეჩქარება-რა, შენ ყველას მანდ მოჰკითხავ და ამოაშხამებ აქ ჩადენილს ულმერთობას! (მიდის კარებისკენ)

ჩხუბა. თავ-დიდავ! მოდი, კაცო, სად მიხვალ, ერთი ტაქანი ღვინო დავცილოთ: ან დაგვლოცე, ან დაგვწყევლე.

თავ-დიდა. არა, შეი ჭიიმე, გული არა მთხოვს. (გადის)

(შემდეგი იქნება)

დორზედ, ჩეროიან ცაცხვების გვერდით აღმართულია ძველი მონასტერი კაცხისა, მაცხოვრის სახელზედ აგებული. მონასტერი მართლა რომ პოეტურ ადგილას მდებარეობს: წინ გაშლილი მინდორი და ზედ ასის წლის გრძელ-ტოტებიანი მუხა და ცაცხვები, რომლების წინ გამართულია მმ. არხიმანდრიტისა და ბერების სადგურები; დასავლეთით ფრიალო კლდეა და კლდის უფსკრულში მიჩხრიალებს პატარა ცელქი მდინარე კაცხურა.

ეკკლესია ძველის არხიტექტურის არის, თორმეტ-კუთხიანია და როდის არის აშენებული, არ ვიცით. ძველი ნაკეთები ქვები მხოლოდ ერთ გვერდზე აქვს კიდევ, დანარჩენი გამოუცვლიათ და ახლად შეუკეთებიათ. შიგნით კანკელი ძველის-ძველის ხელობისაა და კედლებიც, როგორც ყველა ძველს ეკკლესიებში, მოფენილი ყოფილა სხვა და-სხვა მხატვრობით, მაგრამ შეულესიათ და დაუფარავთ. ამ მონასტერს ძლიერ დიდი სიმდიდრე ჰქონებია, მაგრამ თავ. აბაშიძეებს ჩამოურთმევიათ და მონასტრის შენახვა თითონვე უკისრნიათ. ეს მონასტერი თ. აბაშიძეებს ეკუთვნით და იმათი სასაფლაო ადგილია. ამ მონასტერს ბევრი ძვირფასი ნივთი აქვს. ამათგან ჩემი ყურადღება მიიზიდა მეფე ვახტანგის მიერ შეწირულმა სახარებამ. სახარება ვერცხლით არის მოჭედილი და ზედ სხვა-და-სხვა ჩუქურთმიანი მხატვრობაა ძველისა და მშვენიერის ხელობისა. ეს სახარება არ არის დიდი, მაგრამ სწორედ რომ იშვიათის ხელობის ნაწარმოებია. მეორე გვერდზედ თავისის ხელით დაუწერია მეფე ვახტანგს ათს ოკტომბერს ჩღკგ წელსა ქრისტეს აქეთ შემდეგი სიტყვები:

„ქ. ჩვენ მეფეთ-მეფემან ვახტანგისა ძმათ საყვარელმან სახელდებული წარჩინებულისა მთავრისა მე და ძმა აბაშიძე სვიმონ: კაცი სახელოვანი, ამან დადვა თავი თვისი სჯულისა და ჩვენთვის და ბრძოლასა შინა უსჯულოთასა მოიკლა წინაშე ჩვენსა, რომლისა სიკვდილმან მოწყლნა გული ჩვენი თთვესა ოკტომბერსა ათსა ჩღკგ წ. ქრისტეს აქეთ. და ჩვენ ეს პატივით მოჭედილი სახარება სამარხისსა მისსა კაცხს შევსწირეთ, რათა მრავალ მოწყალებით იხსნას სული იმისი სატანჯველისაგან და დაამკვიდროს საუკუნოსა ამინ. ვახტანგი. (ვახტანგი ხელ-ჩართულად სწერია).

მეორე ამ გვარივე ვერცხლით მოჭედილი ხელთ ნაწერი სახარება და სამოციქულო (ერთად შეკრულია და შიგ ჩართულია თორმეტ საუფლო დღესასწაულისა და ოთხის მახარობლის სურათები) შემოუწირავს მონასტრისათვის თ. დავით აბაშიძეს, რომლის ზედ წარწერაც დღესაც იპოვება:

ჵ შენ ცხოვრებისა და სიკვდილისა ხელმწიფეო, მაცხოვარო კაცისაო, მე ოფარვათა შენთა მინდობილმან და ყოვლისა სასოებისა ჩემისა შენზედ დამდებმან თ. აბაშიძე დავითმან ვინებე და ვიგულს-მოდგინე და შემოგწირე წმ. ესე სახარება და სამოციქულო შიგნით თორმეტ საუფლოთი დახატული, გარედგან ვერცხლის მაუდით და ორივე გვერდით თორმეტ საუფლო მოყვანილი ოქროთივე დაფერული: ვინაიდგან შეწევნითა შენითა ვდგა ყოვლისა კაცის უცილებლად ღვთითა და საცადითა ჩვენითა ვიშოვნე. მეცა ამისთვის შენს წინაშე მოვიდე და გიძღვნე და შემოგწირე ჩემდა განსაძლიერებლად და სულისა ჩემისა სახსრად და გარდაცვალებულისა მეუღლისა ჩემისა მიქელაძის ასულისა ხვარამზესათვის და ძისა ჩემისა ლეონისათვის მოსახსენებლად და სხვათა ძეთა ჩემთა იოანეს და სვიმონისა სასიცოცხლოთ და სულთა ჩემთასა სასიმრთელოთ; ესეთ შეიწირე მცირე ესე შემოსაწირავი და კვალად მომეცი შენ მიერ იგი კურთხევა, როგორც რომ ბრძანებ: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო“, რომელნიცა ღირს ვიქმნე. მადლითა ყოვლად წმ. ღვთის მშობლისათა. ამინ. აწ რომელმანცა ძმან კაცისამან დიდმან ანუ მცირემან, სამღვდელომან ანუ საეროამან ესე საუფლო წმინდა სახარება შენ მონასტერს განწიროს, ანუ გარეთ საკითავათ გაიტანოს, ანუ სასყიდლითა წაიღოს ვინმემ, ანუ რას ღონისძიებით ეს ჩემგან მორთმეული შენი შეწირულება გამოგართვას და გამოგწიროს, იყავნ კაცი იგი წმინდისა ე სამებისაგან წყეულ-კრულ და შეჩვენებულ სულით და ხორცით, სასჯელსა-სამარხით და იყოს კვალად შეჩვენებული ათ-თორმეტთა მოციქულთაგან, შვიდთა კრებათაგან, ოთხთა მსოფლიო პატრიარხთაგან და მოუკვდედინ და ამოუწყდნენ შვილნი და საყვარელნი მისნი და ნურმცა იხილავს დიდებასა ღვთისასა და კვალად ჩვენის ცოდვის ნაცვლად იგი განიკითხოს სიტყვამან ღვთისამან დღესა მასსა განკითხვისასა. აწ ამის უკვე დამამტკიცებელნი და დამმეჭდელნი ამასანი იყავნ კურთხეულ ცვარისაგან ცისა და ნაყოფიერებისაგან ქვეყნისა ამინ. თავადი აბაშიძე დავითი 1814 წელსა, მარტის 21 დღესა.

აქ სამი ბეჭედი ასვია, რომლებზედაც არის ამოჭრილი შემდეგი სიტყვები: „მონა ღვთისა დავითი“, მეორეზედ აწერია: „აბაშიძე დავითი“, მესამე ბეჭედზედ კიდევ სხვა აწერია, მაგრამ სიტყვა „აბაშიძეს“ მეტი ზედ ვეღარ ამოვიკითხეთ-რა, რადგან ძლიერ მკრთალად აზის ქაღალდზედ შემდეგი ასოები.

აქვე არის ორი ვერცხლითვე მოჭედილი ხატი, ერთი ყოვლად წმინდის სახელისა და მეორეც ღვთის მშობლისა. ორივე მშვენიერის ხელობისაა, მოჭედილია და ქვეით აწერია:

„მოვაჭედინე ხატი ესე ყოვლად წმინდის მხევლის ქალმან მარეხ, სულისა ჩემისა სახსრად და სადღეგრძელოთ აბაშიძის გიორგისათვის“.

მეორეზედ აწერია: „ყოვლად წმინდა მღვთის მშობელო! შეიწყალე აბაშიძის მე დავითი და მეცხედრე მისი ნესტარდარეჯანი“.

ქრონიკონი, როგორც თითქმის ყველა ძველ ნაწერებზედ, არც აქ აწერია.

ამ მონასტერში ჩემი ყურადღება ერთმა ხატმა მიიქცია და ძლიერაც გამაკვირვა, როდესაც ხატზე ამოვიკითხე შემდეგი რუსული ზედ-წარწერა:

„Сей образъ Спасителя пожертвованъ въ Имеретіи въ деревнѣ Кацхи состоящей церкви во имя Спасителя отъ покойницы дочери дѣвицы Анахашуми Давидовни Модабазовой, для воспоминанія души ея 1837 г. Генваря“.

მოდებაძეები აქ გლეხები არიან და შეიძლება ერთი ვინმე ამ მოდებაძეთაგანი რუსეთში ყოფილიყოს დასახლებული, გადარუსებული. იქნება გვარიც შეუცვლია და შემოუწირავს ეს მშვენიერი ვერცხლით მოჭედილი ხატი. თუმცა გამოვიკითხე იქ მყოფთაგან ამ ხატის ამბავი და შემომწირველის ვინაობა, მაგრამ ვერა მიამბესრა.

ხელთ-ნაწერ წიგნებში ყველაზედ შესანიშნავი ერთი დიდი ვებერთელა წიგნია, სიგრძით ერთი არშინი და სიგანით არშინის ორი მესამედი სიმძიმით თითქმის ერთი ფუთი გამოვა. ეს წიგნი არის ხელთ-ნაწერი და შეიცავს თითქმის ყველა საეკკლესიო წიგნების შინაარსს. სახელად «გულვანი» ჰქვიან და დაწერილია მშვენიერის ხელით ხუცურის ასოებით დიდსა და ძველებურს სქელს ქაღალდზედ.

ერთს გვერდზედ შემდეგი ზედ-წარწერა აქვს საოცარ წმინდა ხუცურის ასოებით:

ქ. ყოვლისა სამღვთოსა საქმისა აღმასრულებელი და ღვთივ დაღოცვილი ერისთვის ასული თამარისათვის იწერებოდა წიგნი ესე. მრავლის პატივის ცემასა და კარგ ყოფასა შინა ვიყავით, მაგრამ სამი მღვინე ყავდა, ღვთისაგანაც დაიკრულნენ იგინი. პატრონს რომ ებრძანებია, თუ ჩემი პატრონობა გრწამდეს ესენი კარგათ აპატივე, რაც უღდუფა გამეჩინოსო. ღმერთმან ისე დაამკვიდროს დღესა და ღამეს და სულსა ცხონებასა ღვთისაგან და ამ წიგნისაგან, როგორც იმან ჩვენ მოგვიგლო. ვინც ეს შუშალო, შენცა შეაშლები ღვთისაგან. ამის მწერალი“... აქ ველარ წავიკითხე, რადგან აღარ ეტყობა სიტყვები სიძველის გამო.

ამ წიგნის ბოლოში აწერია მხედრულის ასოებით: „ქრისტეს აქეთ 1766 წელში სვერი ართვეს მეფე სოლომონს ოსმალთ გასულ ენკენისთვეს“. კიდევ ქვეით აწერია: „ქრისტეს აქეთ 1795 წ. მოაოხრა აღა ხანმა ყაჯარმა ქალაქი ტფილისი და მრავალი ქრისტიანენი წაიყვანა“. „ქ. აქეთ 1808 წელში აბაშიძე გედევანი მიიცვალა“.

მარჯვნივ სამხრეთისაკენ ასვენია ერთი ძველის ხელობის ხატი მთლად ვერცხლისა, ძელი ჭეშმარიტისა, რომელზედაც მშვენიერის გარკვეულ ხუცურ ასო-მთავრულით აწერია:

„მე ღვთივ გვირგვინოსანმა მეფეთ მეფისა კონსტანტინეს შვილის შვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან და თანაგთ სახლის რძალმან დიდის იმედმან ვიგულსმოდგინე მოვაჭედინე ხატი ესე ძელის ჭეშმარიტისა, რომლითა ხატი ვერცხლითა, რათა მცველ-მფარველ მექმნა მე და თანამეცხედრესა ჩემსა ქაიხოსროს, ძეთა ჩვენთა: ბარბარეს, მზე-ჭაბუკს, მამუჩარს, ბაგრატს, თავად მშვენიერს ივანეს, თამარს დღეგრძელობით, გამარჯვებით წაგვიმართე და შეგვინდენ ცოდვანი ჩვენი ამინ. მამასა ჩემსა ბაგრატს და დედას ელენეს და ძმათა ჩემთა ერეკლეს და შოთს, იოთს, იოანათამს და თედორას შეუნდოს ღმერთმან ამინ. ვახტანგ და ერეკლე ადღეგრძელენ, ჩემი ძმა და და გამოიხსენ აგარიანთაგან და კვალად აგე პირველსავე პატივსა ამინ. გულდაფარს და იოანათამსა შეუნდოს ღმერთმან ამინ. ღმერთო და ძელო ჭეშმარიტო! ძალი ქრისტესი, ძლევა მტერთა, შეიწყალე სული ჩემი ელენე ამინ“.

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

იტალია. ამ დღეებში გარდაიცვალა ერთი შესანიშნავი მოღვაწე იტალიისა, ერთხელ მთავარ მინისტრადაც ნამყოფი, ბენედეტტო კაიროლი. კაიროლი დიდს მონაწილეობას იღებდა იტალიის გაერთიანების საქმეში. დაიბადა 1826 წელს. 1848 წ., როცა ჯერ ისევ სტუდენტი იყო, იბრძოდა ავსტრიელების ჯარის წინააღმდეგ. 1859 წ. გარიბალდის შეუერთდა და იღვწოდა იმის ათას კაცთა შორის. როცა პალერმოს ჯარი ერტყა გარშემო, კაიროლი დაიჭრა. 1866 წელს კაიროლი ვოლონტერებში ირიცხებოდა და იბრძოდა იტალიის განსათავისუფლებლად ტრენტინოსა და მენტანში. როცა იტალია განთავისუფლდა, კაიროლი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ იქმნა არჩეული, ხოლო შემდეგ მთავარ-მინისტრად (1878—1881 წ.). კაიროლი, მართალია, რესპუბლიკის მომხრე იყო, მაგრამ მაინც რესპუბლიკელების იმ დასს ეკუთვნოდა, რომელმაც საჭიროდ სცნო იტალიის კეთილდღეობისათვის ეღვაწნა ვიქტორ-ემანუელისა და იმის შვილის მეფობაშიაც. ერთხელ კაიროლიმ სიკვდილს გადაარჩინა დღევანდელი მეფე ჰუმბერტო. როცა მეფე ნეაპოლში შევიდა და პასანანტე დაეცა თავს მოსაკლელად, კაიროლიმ, რომელიც წინ უჯდა მეფეს, ხელი ჰკრა და უკან გადმოაგდო პასანანტე. თვით-კი რამდენსამე ადგილას საკმაოდ მძიმედ დაიჭრა პასანანტეს ხანჯლით. მთელს იტალიას დაენანა კაიროლი და გაზეთები თანაგრძნობით იხსენიებენ შესანიშნავს პატრიოტსა და პატიოსანს მამულიშვილს.

— დღევანდელი მთავარ-მინისტრი იტალიისა კრისპი სწერს უცხო სახელმწიფოში მყოფ ელჩებსა და დესპანებს, რომ თქვენი მოვალეობაა, სხვათა შორის, ყური უგდოთ მანდ წამოსულ იტალიელებს, დაეხმაროთ გაჭირებაში და ხშირად მოაგონოთ სამშობლო ქვეყანაო. ურჩიეთ ხოლმე, რომ იმათ თავიანთი შვილები იტალიაში ჰგზავნონ სასწავლებლებში აღსაზრდელადაო. იტალიელებისთანა ადვილად არავინ ივიწყებს თავიანთ სამშობლოსა და არ ეთვისება იმ უცხო ხალხს, სადაც გარემოებისა და გაჭირების გამო გადასახლებულანო. ამიტომ უფრო უნდა იზრუნოთ, რომ არ გაწყდეს კავშირი მანდაურ იტალიელებისა თავიანთ სამშობლო ქვეყანასთანაო.

საფრანგეთი. აი რა სიტყვები უთქვამს პასტერისთვის საფრანგეთის სტუდენტების საზოგადოების თავმჯდომარეს შომეტონს:

«ძვირფასო და სახელოვანო მოძღვარო! მთელის საფრანგეთის სტუდენტობა შეიკრიბა, რათა გამოგიცხადოთ თქვენ თავისი პატივის-ცემა და მადლობა იმ სახელისათვის, რომელსაც თქვენი დიდება ანიჭებს ჩვენს სამშობლოს. იმ დღეს, როცა თქვენი ინსტიტუტი დაარსდა, თქვენ სთქვით იმ ბუნებრივის მჭევრ-მეტყველობით, რომელიც ხვედრია ჭეშმარიტის გენიოსისა, რომ მეცნიერებისათვის არა არსებობს სამშობლო, ხოლო მეცნიერს-კი აქვსო. მართალია, მეცნიერებას სამშობლო არა აქვს, მაგრამ სადაც კი მეცნიერება ჰყვავის, სამშობლოს ემსახურება. მეცნიერებას არ დაუწესებია საზღვრები და მიჯნები ერთა შორის, მაგრამ ამაგრებს და იცავს-კი ამ მიჯნებსა და საზღვრებს. იგი ამკობს და აუკეთესებს კაცობრიობას, თუმცა კაცთა გულის თქმასაც ემსახურება. იგი მკურნალობს, მაგრამ აჩენს წყლულებსაც. თქვენ ხელში-კი, ძვირფასო მოძღვარო, მეცნიერება მხოლოდ მკურნალია. აი ამიტომ გაითქვა თქვენი სახელი, ამიტომ დაარსდა თქვენი ინსტიტუტი ყველა განათლებულ ერთა შემწეობითა და თანაგრძნობით, ამიტომ შეიკრიბნენ ყოველის ქვეყნის სტუდენტები და პატივის-ცემით გიძღვნიან სალამს».

## წვრილი ამბები

„Figaro“ ამბობს, რომ სპარსეთის შაჰი თავის ევროპაში მოგზაურობის დღიურს სწერსო. ყოველ დღე თავისს მინისტრს აწერინებს ყველაფერს, რასაცკი სპარსეთის მბრძანებელზედ უმოქმედნია, და როცა სპარსეთში დაბრუნდება, უნდა ეს შენიშვნები რიგში მოიყვანონ და დაბეჭდონო.

— სპარსეთის შაჰის დასასხვედრად ინგლისში 76,500 მანეთი დაუხარჯავთ.

— ედისონს განუზრახავს ევროპაში წასვლა და ამ დღეებში მოელიან თურმე პარიჟში ამის შესახებ გაზ. „Figaro“-ს გაუგონია ედისონის ერთის მეგობრისაგან რამდენიმე საინტერესო ცნობა ამ გამოჩენილის კაცის თაობაზედ. ედისონს სულ 610 რამ აღმოუჩენია ელექტრონის შემწეობით. ედისონის საშუალებით არის თურმე განათებული მთელი ამერიკა და ამ მხრივ შემოსავალი 20 მილიონი მანათი ეძლევა. ეხლა სცდილობს ისეთი ტიკინი გააკეთოს, რომელსაც მთელი საათი ლაპარაკი შეეძლებაო, ჰმუშაობს აგრეთვე ტელეფონზედ და ამას გარდა ისეთი ნავი უნდა გამოიგონოს, რომელიც ჰფრინავდესო. მუშაობის დროს ძალიან სადა ცხოვრებას ატარებს თურმე ეს გამოჩენილი კაცი, არც დღესასწაულებს მისდევს, არც სტუმრობას-ქეიფს, მთელი დღე შრომობს და შრომის მეტი აღარა ასიამოვნებს-რა. ერთი და ერთი იმისი გართობა ის არის, რომ სეირნობს ხოლმე თავის მეორე გამოგონილის სამ-თვალა ველოსიპედით. დგება დილის 4 საათზედ, თავის ფაბრიკებში მიდის და მუშაობას თვალ-ყურს ადევნებს. იმის ფაბრიკებსა და ლაბორატორიებში 3,000-მდე კაცი მუშაობს. მომუშავენი დღეში 10 საათსა საქმობენ და თითო მოსაქმე, სულ ცოტა, შვიდ მანეთს მაინც იღებს დღეში.

— ორიენტალისტთა საერთაშორისო კრებაზედ, რომელიც სტოკჰოლმში უნდა მოხდეს, მონაწილეობას ყველა ევროპისა და დიდ-ძალ აზიის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მიიღებენ. 500 კაცისთვის მზადდება დიდი ნადიმი, რომელიც კრების გათავებისას უნდა იყოს. სადღეგრძელოები აღმოსავლეთის ენაზედ უნდა სთქვან ნადიმის დროს, საჭმელების ნუსხა სულ სხვა-და-სხვა ენაზედ უნდა იყოს დაწერილი, ხოლო ღვინოების სია-კი ლურსმურის წარწერებით აღნიშნული.

— სამი ავსტრიელი სანაძლეოს გამო ვენიდგან პარიჟის გამოფენაზედ ერთ-თვალიანის ეტლით წამოსულან. ერთი შიგ ეტლში იჯდა თურმე ბარგ-ბარხანაზედ და დანარჩენნი ორნი-კი ეტლს ეწეოდნენ ცხენების მაგივრად. ეტლს გაკეთებული ჰქონია ავსტრიისა და საფრანგეთის დროშები. როცა ეს ავსტრიელნი გამოფენის კომისართან მისულან, თაიგული მიურთმევიათ ამ კაცისათვის.

— დუბლინში ერთი ასირებული მათხოვარა დედაკაცი დაუჭერიათ და პოლიციაში წაუყვანიათ. აქ ვიღასაც მიუქცევია ყურადღება გლახის არა-ჩვეულებრივ ჩაცმულობისთვის, ტანისამოსი გაუხდიათ დედაკაცისათვის და აღმოჩენილა, რომ გლახა თურმე დიდ-ძალს ქაღალდისა, ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფულს ატარებს თან. ჯიბეებში ამ გლახას 28 გირვანქა შავი ფული ჰქონია, ძველს სანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირო აბგაში იუბკის ქვეშ ოქროს ფული აღმოსჩენია. მეცლი აკრული ჭქონია ხელსახოცით, რომელშიაც ქაღალდის ფული დებულა. ამას გარდა იუბკის ჯიბეში ჭქონია 20 კარტოფილი, რამდენიმე გირვანქა მუხუდო და სხვა სანოვაგე.

— აქვს ნება არტისტს სცენაზედ არტისტ-ქალს ლოყაზედ აკოცოს როლისამებრ, თუ ისე უნდა დაანახვოს საზოგადოებას, ვითომ აკოცნიო, მაგრამ ნამდვილად არც-კი უნდა შეეხოს ტუჩებით? ეს სასაცილო საკითხი გაურჩევია ამას წინად მადრიდის ერთს სასამართლოს. საჩივარი შეუტანია არტისტ-ქალს სორილის, რომ არტისტი ამადისი, რომელიც ჩემის საყვარლის როლსა თამაშობდა სცენაზედ, გაკადნიერდა და მაკოცა სცენაზედ, თუმცა რეპეტიციებზედვე ვუთხარი, რომ არ მაკოცო-მეთქიო. თავისს საჩივარში არტისტი-ქალი ამბობდა თურმე, რომ საცოლე ვიყავ ერთის მოხელისა და კოცნამ უცხო კაცისამ ის მაზარალა, რომ მიზეზად გახდა ჩემისა და ჩემის საქმროს უთანხმოებისათ. სასამართლოს ამ საქმის შესახებ ათამდე ექსპერტი და მოწამე გამოუძახებია. ექსპერტთ განუმარტავთ, რომ საჭირო არ არის სცენაზედ მართალი კოცნა და ყველა არტისტს ადვილად შეუძლიან ისე აჩვენოს საზოგადოებას, ვითომ აკოცნი ქალსაო, და არ აკოცოს-კიაო. ხოლო შეიძლება არტისტი თამაშობამ გაიტაცოს, ყველაფერი დაავიწყდეს და, თეატრისებურად-კი არა, ნამდვილად დაჰკოცნოსო. ამადისის შესახებ მოწმებმა განაცხადეს თურმე, რომ კოცნის დროს იგი სრულიად დაარხეინებული და დამშვიდებული იყო და იმიტომ-კი არ უკოცნია ნამდვილად, ვითომ თამაშობით ყოფილიყოს გატაცებული, არამედ განგებ ჩაიდინა ეს საქციელიო. ამ მოწმეთა ჩვენების საფუძველით სასამართლოს გადუწყვეტია, რომ 4 მან. ჯარიმა გამოერთვას არტისტს ამადისს, ამ ფულიდგან 2 მანეთი არტისტ-ქალს სორილის მიეცეს, ხოლო დანარჩენი 2 მან. საქველ-მოქმედო საქმისათვის გადადებულს ფულს მიემატოსო.

◆◆

# დეპეშა

7 აგვისტოს

ლონდონი. „Times“-ის სწერენ დეპეშით სტამბოლიდამ, რომ კრიტელმა დელეგატებმა ქაღალდი წარუდგინეს შაქირ-ფაშას და შიგ მოიხსენიეს ყოველივე თავიანთი საჩივარი და სათხოვარი. შაქირ-ფაშამ ეს ქაღალდი სულთანს გაუგზავნაო.

პარიჟი. (განსაკ. კორესპ.) გუშინ შარანტიის დეპარტამენტში შეიკრიბნენ ბონაპარტელნი ამომრჩეველნი 10,000 კაცამდე კუნეო დ'ორნანოს თავმჯდომარეობით, პატივი სცეს დერულედს და თანაგრძნობით მოიხსენიეს პროგრამა საეროვნო რესპუბლიკისა. კრებამ თავისი გარდაწყვეტილება გაუგზავნა გენერალ ბულანჟეს, რომელმაც მიიღო დეპუტაცია ლონდონსა და ბრიუსელში მცხოვრებ ფრანგთაგან. ესენი მისულან ბულანჟესთან და გამოუცხადებიათ, რომ წინააღმდეგნი ვართ უმაღლესის სასამართლოს განაჩენისაო.

8 აგვისტოს

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წევრს, გენერალ-ადიუტანტს ისაკოვს ებოძა უმაღლესის რესკრიპტით დიდის ხნის მოღვაწეობისათვის ორდენი წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა.

პულკის ობსერვატორიის ორმოცდა-ათის წლის იუბილეის დღესასწაულზე დაესწრნენ: დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მინისტრები შინაგანთა და გარეშე საქმეთა და საერო განათლებისა, სხვა წარჩინებულნი კაცნი, ზოგიერთნი წევრნი სადიპლომატო კრებულისანი და დეპუტაციები. ხელმწიფე იმპერატორმა გამოგზავნა დეპეშა, რომელშიაც ხელმწიფე ბრძანებს, რომ დარწმუნებული ვარ პირველი ობსერვატორია რუსეთში დაიცავს ანდერძებს საქებურის წარსულისას და კვლავ განაგრძობს სასარგებლო სამსახურს მეცნიერებისა და სამშობლოსა წინაშე.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მარიამობ.

| | მყიდველნისა. | გამყიდველნისა. | გაყიდულნისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . . | — „ | — „ | 7 66 |
| ტამოჟნის კუპონები . . | 153½ | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1 12 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | 264 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 246½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 97½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97½ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83½ | — „ | — „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

დაიბეჭდა გორში და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

მიბაძვა ქრისტესი,

თხზ. თომა კემპელისა

ნაწილი პირველი და მეორე.

ფასი წიგნისა ყდითა და სურათებით 70 კაპ., უყდოდ და უსურათებოდ 40 კაპ. (5—1)

მცხეთის დედათა მონასტერში დაარსდა ახალი ოთხ-კლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელშიაც პროგიმნაზიული სწავლა იქნება დაახლოვებით პროგიმნაზიისავე პროგრამით. სასწავლებელთანვე დაარსებულია მოსამზადებელი კლასი. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბრიდგან.

სასწავლებელში გამართულია პანსიონი. პანსიონში შემსვლელთათვის დანიშნულია ფასი პირველ წელიწადს თორმეტი თუმანი, ხოლო შემდეგს წლებში—ათ-ათი თუმანი. გარეშე მოსიარულეთათვის სწავლების ფასი თხუთმეტი მანეთია. სასწავლებელში შესვლის მსურველებმა ანუ იმათმა მშობლებმა უნდა მიჰმართონ მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარს და თხოვნასთან ერთად წარადგინონ წლოვანების მოწმობა და აცრის ქაღალდი. თვით პროგრამმა თავის დროზედ გამოცხადებული იქნება.

პირველ წლობით მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასია დაარსებული. (10—3)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა. . . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . | „ | 15 |

გამოვიდა და ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა

(თვით ღირსის მარიამის სურათითურთ)

ფასი ორი შაური.

ვინც ბევრს ერთად დაიბარებს ამ წიგნს „ქართულ საღმრთო წიგნთ-საკითხავიდგან“, იმას გზის ხარჯი არ გამოერთმევა. „ქართული საღმრთო წიგნთ-საკითხავი“ იმყოფება: ბაზრის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლში, № 11, სადგომი № 14. ამ „წიგნთ-საკითხავში“ ყოველ გვარ საღმრთო წიგნების კითხვა შეიძლება უფასოდ ყოველ დღე, ნაშუადღევის 4 საათიდგან 9-მდე. ვინც რომელისამე წიგნის სხვაგან წაღებას მოისურვებს, გირაოდ უნდა დასტოვოს წიგნის ფასი.

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—22)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . | 10 მ.—კ | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

# დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც სურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

Доз. ценз. Тифлисъ 8-го Август 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე